საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/1400
12/03/2014

1400-2-01-2-201403121632

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (Grass)

დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის, 06 მარტს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემოვიდა თქვენი 2014 წლის 04 მარტის N172 წერილი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შესახებ.

აღნიშნული წერილის პასუხად გაცნობებთ:

1. არსებული მაგისტრალის თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის კმ27–დან სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მშენებარე მაგისტრალის სიგრძე დაახლოებით 390 კმ–ია. 2014 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სულ მოწყობილია 100.8 კმ. საგზაო საფარი (მათ შორის მოძრაობა გახსნილია 86.4 კმ–ზე):

- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ27–კმ95 = 68.2 კმ (4 ზოლიანი)
- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ95–კმ114 = 3 კმ (2 ზოლიანი)
- თბილისი–სენაკი–ლესელიძე 143კმ (რიკოთი) = 2.8 კმ (2 ზოლიანი)
- ქობულეთის შემოვლითი გზა (ლოტი I) = 12.4კმ (2 ზოლიანი)
- ქუთაისის შემოვლითი გზა = 7.0 კმ (2 ზოლიანი) – მოძრაობა არ გახსნილა)
- ქუთაისის შემოვლითი–სამტრედია = 7.4კმ (2 ზოლიანი) – მოძრაობა არ გახსნილა).

2. „საქართველოს 2009 წლის სახემწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების“ მუხლით (ორგანიზაციული კოდი 25 03 02) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 146494833,23 ლარი, რაც შეადგენს გამოყოფილი ასიგნებების (დაზუსტებული გეგმა 172307300 ლარი) 85,02 პროცენტს. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების“ მუხლით (ორგანიზაციული კოდი 25 04 02) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 124037411.53 ლარი, რაც შეადგენს გამოყოფილი ასიგნებების (დაზუსტებული გეგმა 134147220 ლარი) 92.46 პროცენტს. „საქართველოს 2011 წლის სახემწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების“ მუხლით (ორგანიზაციული კოდი 25 04 02) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 227714545.63 ლარი, რაც შეადგენს გამოყოფილი ასიგნებების (დაზუსტებული გეგმა 236940300 ლარი) 96.11%-ს.

3. **სამშენებლო სამუშაოების (აქტივობა) მიმდინარეობა 2009, 2010, 2011 წლებში:**

- 2009 წელს სამშენებლო სამუშაოები (აქტივობა) 37 კმ–ზე მიმდინარეობდა
- 2010 წელს სამშენებლო სამუშაოები (აქტივობა) 40–კმ–ზემიმდინარეობდა
- 2011 წელს სამშენებლო სამუშაოები (აქტივობა) 30 კმ–ზე მიმდინარეობდა

4. **2009 წელს ჩაქროსნულ ავტომაგისტრალეზე:**

საგზაო საფარი გეგმის შეასბამისად მოეწყო 15.2 კმ–ზე (4 ზოლი)

- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ43–კმ55 = 12.0 კმ (4 ზოლი)
- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ55–კმ80 = 25.0კმ (4 ზოლი)

2010 წელს ჩაქროსნულ ავტომაგისტრალეზე:

საგზაო საფარი გეგმის შეასბამისად მოეწყო 6 კმ–ზე (4 ზოლი)

- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ55–კმ80 = 25.0 კმ (4 ზოლი)

- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ80–კმ95 = 15.0კმ (4 ზოლი)

2011 წელს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე:

საგზაო საფარი გეგმის შეასბამისად მოეწყო 11.8 კმ–ზე (4.8კმ 2 ზოლიანი, 7.0კმ 4 ზოლიანი)

- თბილისი–სენაკი–ლესელიძე კმ80–კმ95 = 15.0 კმ (4 ზოლი)
- ქობულეთის შემოვლითი გზა (ლოტი I) = 15.0კმ (2 ზოლი)

5. **2009 წელს ჩაქროსნულ ავტომაგისტრალეზე:**
   - გეგმის შესაბამისად მოძრაობა გაიხსნა 15.2 კმ–ზე (4 ზოლი)

2010 წელს ჩაქროსნულ ავტომაგისტრალეზე:

- გეგმის შესაბამისად მოძრაობა გაიხსნა 6 კმ–ზე (4 ზოლი)

2011 წელს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე:

გეგმის შესაბამისად მოძრაობა გაიხსნა 11.8 კმ–ზე (4.8კმ 2 ზოლიანი, 7.0კმ 4 ზოლიანი)

პატივისცემით,

ვაჟა ფანჩულიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

.